

თეატრი

საოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი კაზეთი.

18 მაისი

გ ა მ ო ი ს ე მ ა

№ 20

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-ს ღირს სამი შუკრი. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

საოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი კაზეთი

„თეატრი“

წელიწადი მეორე

პროგრამა და სიერცე ვაზეთი, „თეატრი“-სა იგივე ღარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით

ფასი „თეატრი“-ს: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს სუთი 5


მანეთი, ნახევარის წლით—სამი 3 მანეთი. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

ქოველივე თხზულებაში არის ღედა აზრი, რომლის თქმაც ავტორს უნდა და ამ ღედა აზრის გამოხატქმელად და აუცილებელს საკიროებას შეადგენენ, სხვა თანაშემწე აზრებიც, რომლებმაც უნდა კაფიეთათ გამოგვიხატონ, გარდმოგვეცენ ავტორის უმთავრესი აზრი, და თხზულება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება რიგიანად, როდესაც ყოველივე ეს თანაშემწეა აზრები და ღედა აზრი კანონიერათ იქნებიან დაკულნი თავით ბოლომდის. ღედა აზრი არის ღიდი ხე და თანა შემწე აზრები კი ტოტები. როგორათაც თანაზრივ იზღება ხე თავის ტოტებით, ამი-

სავე მაგვართ ღედა აზრი უნდა იზარღოს თავის თანაშემწე აზრებითა, რომ ბოლოს სრული კაფიეთი აზრი შევადგინოთ თხზულებაზედ. ამისთანავე სურათს წარმოადგენს დრამატიული თხზულება. დრამა იქნება, ტრადეღია თუ კომეღია ყველგან და ყოველს ღროს უნდა დაიცოს დრამატიულმა მწერალმა ეს კანონი. ავტორი თავის ღედა აზრის საჩვენებლათ სხვა-და-სხვა ღონის ძიებასა ხმარობს, რომ ნათლად და რეალურათ გააბრწყინოს თავის აზრი ამასთან რასაკურვეღია უნდა ჰქონდეს სრულიად განვითარებული ესტეტიკიური გრძნობა და დაახლოვებით უნდა იცნობდეს კაცის ბუნებას, სიცოცხლეს და თეატრალურს ხელოვნებას. თუ ყველა ამ თვისებებით ღრა-



მატიული მწერალი დაჯილდოვებული არ არის, მაშინ ის დრამატიულს მწერლად არც ჩაითვლება და ვერც არას რიგიანს დასწერს ისეთას, რომ კანონიერი მთაბეჭდილება იქონიოს საზოგადოებაზე. კომედია, როგორც ერთი ელემენტი დრამატიულის თხზულებისა, განსაკუთრებით ხალხის დაცემულს ზნეობას დასცინის და მიზნათ აქვს გასწორება. ღიახ, კომედია უფრო მეტს ძალას და ჭკუის გამჭკიახობას ითხოვს მწერალისაგან ვიდრე დანარჩენი ელემენტები დრამატიულის თხზულებისა. კომედიაში უნდა იქონიოს საზოგადოება და კიდევ უნდა ატიროს. კომედიას დიდი და მალალი დანიშნულება აქვს ცხოვრებაში, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში კი დრამატურებმა სრულიად სხვა ხასიათი მისცეს. მსლანდელი კომედიებს ის კი არ აქვთ მხედველობაში ხალხი ზნეობითი გასწოროს, არამედ მთელი ხუთი საათი უნდა იჯდეს და იცინო, რადგანაც ისეთის ობჟექტის ლექსიკონისგან არიან შემდგარი და ისეთი სიტყვების ქანაობაა, რომ ყოველად შეუძლებელია, თუ კაცმა არ იცინა. თეატრალური ხელოვნება ბოლოს პლანზედა აქვსთ მოქცეული და ყოველივე მასხარაობას არის ნაცვალები აზრიცა და ხელოვნებაც.

ქვირას, 11 მაისს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა «აღმზღველები», კომედია სამს მოქმედებათ, თხზულებათ. მოჩუბარიძისა. ამ პიესას საერთოთ თვალი რომ გადაელოთ შემდეგს შეამჩნევთ: ეს ავტორიც ძალიან კოკლობს თეატრალური ხელოვნების სწავლაში და საერთოთ დრამატიული თხზულებების წერაში, რადგანაც ყოველ მხრივ სისუსტე ეტყობა. პირველათ რომ დედა აზრი, როგორც ზეითაც ვსთქვით, რიგზედ ვერ არის განათლებული თანაშემწე აზრებისაგან; აზრი ზოგს ადგილებს სრულიად იკარგება და ბასი სრულიად სხვა საგნისაკენ გადადის, ისე რომ მაქცერალს პირველი სრულიად ავიწყდება და სხვა ახალს აზრზედ ფიქრობს. მეორე შეცდომილება, რომ ერთს უბრალო საგანზედ ერთს ვაი ვუის ახდენენ მოქმედნი პირნი და საზოგადოებას სწყინდება იმათი აბდა უბდა ბასი.


ამის გარდა ზოგიერთს სცენებს არა ვითარი კავშირი არ აქვთ დედა აზრთან, თუმცა თვითთულათ კი რიგიანნი არიან.

სად უნახავს ბ მოჩუბარიძეს, რომ პატარა ყმაწვილს გიმნაზიაში უკან ტეტია გლეხი დასდევდეს? ბ. ა. მოჩუბარიძეს უნდოდა ჩვენთვის ეჩვენებინა მოწაფის და იმისი აღმზღველების ხასიათი, მაგრამ ის საშუალება, რომლითაც იმან გვაჩვენა მეტათ უგემურია. რაიცა ტიპებს შეეჩება, გარდა მოწაფე

ბიორგისა (საფაროვი — აბაშიძისა) რეალურად ვერ არიან დახატულნი. პიესის თამაშობამაც ძალიან სუსტათ ჩაიარა.

ჴერ პირველად თვითონ ბატონი ავტორი სრულიად ვერ თამაშობდა ბებერი ღერენალის როლს, რალაც ცოცხალ-მკვდარი ტიპი დახატა, რომელიც არც ამ ქვეყანას და არც იმ ქვეყანას ეკუთვნის. საკურველია ღმერთმანი, ყოველთვის თავის პიესას თვითონვე აფუჭებს ხოლმე ბ. მოჩუბარიძე მ. საფაროვი — აბაშიძისამ მეტათ მშვენიერთ ითამაშა გარყენილი და განებივრებული გიმნაზისტის ბიორგის როლი. მ. მძინაროვისა ურიგო არ იქნებოდა სალომეს როლში, ცოტა როლი რომ უკეთ სცოდნოდა, მაგრამ გასამტყუნარიც არ არის, რადგანაც ეს როლი ქეთ. ანდრონიკოვისას უნდა ეთამაშა, მაგრამ წარმოდგენის დღეს რალაცა არა პატიოსნურმა ფანტაზიამ მოუარა და უარი უთხრა. ეს ვერაფერი საქციელია ამ მანდილოსანის მხრივ. საერთოთ ამ წარმოდგენამ უგემურათ ჩაიარა. თეატრი თითქმის ცარიელი იყო.

კავთული



ს ი ტ ყ ვ ა

წარმოქმულია ბატ. ნ. ჯვალისკელისაგან გოგოლის კომედიის რევიზორას დღესასწაულზე (ქართულ წარმოდგენაზე, 6 მაისს).


ლიტერატურა სარკვა ხალხის ხასიათისა და ამიტომაც ყველა ხალხს აქვს თავის გვარი მწერლობა, რომელშიაც ნათლად გამოუხატავს თავის ნიჭი, თავის უძვირფასესი გულის პასუხი. ინგლისის ნიჭი უკეთესად გამოხჩანს ტრაგედიაში, რომლის თავი არის შექსპირი, საფრანგეთის ნიჭი გამოიხატება ინტრიგის კომედიაში, რომლის დამფუძნებელათ ცნობილია მოლიერი, ქართველების ნიჭი გამობრწყინავს ლირიკულ ლექსში, რომლის უკეთეს ნიმუშს ვნედავთ უკვდავს «ვეფხვის ტყაოსანში»; რუსეთის მწერლობა დაისახა რეალურს მოთხრობაში და კომედიაში, რომელთაც სული ჩაუდგა გოგოლმა და წარმოადგინა ხასიათი დამცინავი და უმეტეს ნაწილად დამცინავი თავის საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებისა. ამიტომაც რუსეთის მწერლობაში უკეთესს სახალხო პოეტს ვერ ვიპოვეთ, როგორც ბოგოლს. ამაზე ადრე მართალია პუშკინმა დასწერა მოთხრობა „კაპიტანის ქალი“ და გრიბოედოვმა კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

რომელთაც რეალური ხასიათი საქმაოდ ეტყობოდათ, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ ჩაითვლებიან მწერლობის რეალიზმის მამათ, ჯერ ერთი იმიტომ რომ ამ თხზულებებში რეალურ სცენებთან რომანტიული სურათებიც ერია, და მეორეთ იმიტომაც რომ ესენი იყვნენ ერთი კალმის გასმით დაწერილნი, ცალკე პატარა სურათები, ერთმანეთზე საჩქაროთ გადაბმულები და არ წარმოგვიდგენდნენ ერთს მთელს დიდს სურათს, როგორც ეს მშვენიერად ახსნა უკეთესმა რუსეთის კრიტიკოსმა ბელინსკიმ.

ზოგოლის ნიკი მეტად ბრწყინავი, მეტად უეცარი იყო, რომ იმას საზოგადოება და მწერლობა აღვილად შესჩვეოდა, და ამიტომაც ის თავის სიცოცხლეშივე ვერ დაესწრო ნამდვილს დაჯილდოებას თავის უდიდესის ნიჭისას. მხოლოდ ბელინსკი, პუშკინი და ორიოდ ახალგაზდა მწერალი თაყვანს სცემდნენ ამ გენიოსს და დანაწიჩენი საზოგადოება კი მას მხოლოდ დასცინოდა, როგორც უკანასკნელ მასხარას. მხოლოდ იმპერატორი ნიკოლოზის პირად გამოსარჩლებით წარმოსდგა სცენაზე „რევიზორი“, თორემ ამ პიესას, ვინ იცის, იქნება ოც წელიწადზე ადრე არ ეჩვენა თავი სცენაზე. როცა გარდიცვალა ზოგოლი და ტურგენიემა ნეკროლოგი დაბეჭდა იმაზე, ტურგენიევი ამ დანაშაულობისათვის პეტერბურხილამ დათხოვნილი იყო და გაიგზავნა სოფელში. მსე ცუდად ესმოდათ გოგოლის სიცილი იმ სამწუხარო დროს. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზოგოლმა დაჰბადა დიდი წრე ფრიად ნიჭიერ მწერლებისა, რომელთაც გაამდიდრეს რუსული მწერლობა. ტურგენიევი, მსტროვსკი, ტოლსტოი, შჩედრინი, დოსტოევსკი, პისემსკი და ბევრნი სხვანნი უნდა ჩაითვალოს ზოგოლის მიმბაძველებათ.

ამ მწერლების თხზულებებს ეხლა სტყობულობენ სამზღვარს გარეთ და დიდათ უკვირთ მათი ხელოვნება. უფრო მეტათ გაუკვირდებოდათ ზოგოლის ნიკი, როცა შესაძლო ყოფილიყო რიგიანად გადათარგმნა იმის წმინდა სახალხო რუსულ თხზულებებისა. ქართულ მწერლობასაც დაეტყო ზოგოლის გავლენა. ჩინებული მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა «კაცია-ადამიანი» თითქო გოგოლის «სტაროსეფტსკი პომეშიკებს» მოგვაგონებდეს. ზოგოლის თხზულებების არამც თუ მიბაძვას, ცარიელ თარგმანსაც ქართულს ენაზე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. იმ ჩინოვნიკობას, რომელიც გამოყვანილი ჰყავს ზოგოლს «რევიზორში» და სხვა თავის ნაწერებში, დიდი გავლენა ჰქონია და აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ამიტომაც რასაკვირველია, არც ერთ სამზღვარგარეთულ მწერლობაში ისეთი მნიშვნელობა ვერ ექმნება

ზოგოლს, როგორც ჩვენში. სხვის ღირსებებს უნდა ვინა, შესაფერი დაფასება და მისთვის მიბაძვა სუკოველთვის ყოფილა უკეთეს გზათ ხალხის წარმატებისათვის და საკუთარ ღირსების ამაღლებისათვის. და ამიტომაც ქართულის დრამატიულის საზოგადოების მართველობა თავის სასიამოვნო ვალათ რაცხს გვირგვინი დაადგას იმ მწერლის სურათს, რომლისაგანაც ბევრი გვისწავლია და ჯერ კიდევაც ბევრს ვსწავლით.



ახალი ამბავი

◆ ამას წინეთ ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი პიესა, სახელდობ „ქამნი რბიან“, დაწერილია თ. ალექსანდრე ვახტანგის-ძის ორბელიანისაგან. ეს პიესა განსვენებულს 1869 წ. ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში გადაუტია დასაბეჭდათ, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო არ დაბეჭდილა. ამ პიესას გარდა მასვე დარჩა დრამა «ღვით აღმაშენებელი» რომლის ხელთნაწერი დღესაც მოიპოვება. კაი იქნება, რომ განსვენებულის მემკვიდრეებმა ეს ნაწარმოები ცალკე გამოსცენ, ეს მით უფრო, რადგანაც ორბელიანის დანარჩენი ნაწერები 1879 წ. ცალკე გამოვიდა თბილისში.

◆ ჩვენ შევიტყუეთ, რომ ერთ ქართველ გამომცემელს შეუკრეფია განსვენებულის ივანე ბარათაშვილის ყველა ნაწარმოები და ეს კრებული მალე გამოიცემა ცალკე წიგნათაო.

◆ ჩვენ გვგონია, რომ წრეულის კალია ვერსად მოიდგამს ფესს და ვერ იჩენს თავის გამრავლებას, რადგანაც ასე დაჭინებული წვიმები ხშირად არ იცის ხოლმე სიცხისაგან გადამწვარს თფილისის მიდამოებასა და იმ მხარებისაკენ, სადაც პირველათ იწყებენ ხოლმე კალიები მრავლებასა.

◆ სამზაბათს, 13 მაისს, საღამოს 5 საათზედ სამხედრო სასამართლომ გაათავა ფოსტის გამცარცველთა საქმე შემდეგის რეზოლიუციით: აღდგომირ დოლოზოვს და მურთუზი ოზიევეს ჩამოერთვას ყველა ღირსება და დაისაჯონ სიკვდილით (ჩამოახჩონ), ბეიცარ კერნოხისა და ბეი-სოლთან გაზახოვს ჩამოერთვას ყველა ღირსება და გაიგზავნონ კატორლაში ოცის წლით, დარლო ამრიევი კი სასამართლომ განათავისუფლა. ეს უკანასკნელი, სამხედრო სასამართლომ, თუმცა დამნაშავეთ ვერა სცნა და განათავისუფლა

კიდევაც, მაგრამ ადმინისტრაციამ მაინც დაიჭირა და ხელმოკრედ დაამწყვდია ციხეში.

◆ ღღეს, 18 მაისს, არწრუნისეულ ბაღში (ბანკის ტერასასაზე) მოხდება საგანგებო კრება ქართული დრამატიული საზოგადოების წევრთა. კრებაზე განიხილება საზოგადოების მმართველობის აზრი დრამატიულ დასის შედგენაზეთ ზამთრისთვის.

◆ ჩვენ შევიტყუეთ, რომ სოფრ. მგალობლი-შვილისაგან გადათარგმნილი „შესანიშნავი ბავშვები“ ისტორიული მოთხრობანი მგვენი ფოასი, ჩვენ სურათების ამომჭრელს გრიგ. ტატიშვილს უკისრია სურათებით გამოცემა.

◆ თბილისის ესტუმრნენ რუსის არტისტები ბატ. ჩარსკის მოთავეობით. ბატ. ჩარსკი ირიცხება პეტერბურლის იმპერატორის თეატრის არტისტათ და ასრულებს დრამატიულ როლებს. ეს დასი აპირებს სამ წარმოდგენის გამართვას. ხუთშაბათს წარმოადგინეს ლერმონტოვის დრამა მასკარადი, პარასკევს შექსპირის ტრალედია ოტელლო და ღღეს ჰამლეტს წარმოადგენენ. არტისტებზე და წარმოდგენებზე შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.

დასს შეადგენენ შემდეგნი: არტისტები: ანჟკოვა-ბენსანი, ლოლა (არტისტები პეტერბურლის იმპერატორის თეატრებისა) უკაროვისა, ღინოვსკისა, გუსკოვისა, ტინსკისა და სხვ. არტისტები: ჩარსკი, სამარინი, ტინსკი, ილკოვი, რუდინსკი, სტრევეტოვი, ვრანსკი და სხვ.

პოპონება.

მასსოვს, სატროფო, ტკბილი წამები,
როდესაც შევით შენ მალხინებდი.
ვნებით დამწკლანი ის სურვილები,
როს ჩემს ანსებას დამავიწყებდი.
მასსოვს გმნობებსა გამომშავებდი,
უგუ ვტოვებდი ქვეყნიერებას.
სიუხვით, ვით ტკბილს ნექტარს მასმეგდი
ეღეში დარგულს შენ სიტკბოებას.
მასსოვს ის ბაღი სად მარწმუნებდი:
„სამუდმივ-ყამოდ მე შენი ვარო!“
ხან გულ მკვდრება ცრემლს მახურობედი,
ვით მარგალიტის მხეჩივარე წყარო.
სად დაგვანაროდენ ჩვენ ვანსკვლავები;

მთვარე მოგვეყენა ნათელს მოპარულს,
სადაც გვიმღერდენ იადონები
და შენატოდენ წმინდა სიყვარულს
მასსოვს, როდესაც დავიწყებას
თავს მაუძღვნიდით. გმნობა გვჩვენებდა.
როდესაც მხოლოდ ნექტარებას
ჩვენი ფიქრები ემონებოდა.
გიდეკვაც მასსოვს ბუკრი სსკა რამე;
მწედ ან გამოხნდა ჯერ დავიწყება
და დამეწმუნე იგი სსოვნა მე
საუკუნოდა გულში ჩამჩება.
დეე! ვიტანჯო მის მოგონებით;
გული ვი მარად იმედოვნებდეს.
სული, აღსავსე შეფთიერებით,
ვინძლო ოდესმე განთავისუფლდეს!

რ. ალიუსხნელი



* *

მობიბინდი ენქელავ,
გაჭქრს ყოველი ანამი;
ციურო ნამო! ავებ შენ
გაჭბანო გულის ვარამი,

ყუყუნა წვიმავ მასკელე,
შენ ცივ ნამებით კალამა,
რომ გულ დავოდელს შექმდელს
სატროფას მიუძღვნა საღამი.

ზაველი

„თეატრი“-ს კორმსპოდენცია.

სოფ. ჩიბათი. არა ერთხელ იყო ნაჩვენები და ნაძაგები „ღროების“ ფურცლებზედ გურულების ცრუ-მორწმუნოება, მაგრამ ყოველი ეს თითქმის ამაოთ დარჩა. ჩვენში ისევ მტკიცედ აღვიარებინ უმეცარი ხალხისაგან გამოგონილი უქმები: იგივე „ყვე-მარიობა“, „თაგე-მარიობა“, „ჩიტ-მარიობა“ და სხვები მრავალი ამ გვარები. ზოგიერთა ცრუ-მორწმუნოების გავრცელებას მღვდლებიც შესწევნიან ხოლმე. თუ დიდი გვალვა დადგა, ან ქარი რამოდენიმე

ეროვნული
1913

დღეს გაძრივლდა, მიღვლენი ამ შემთხვევებს პარასკევის გატეხას აბრალებენ: «სულ ამ პარასკეობით მუშაობამ დააქცია ეს ქვეყანა.» თუ ამ დროს ვინმე იქმყოფთაგანმა შენიშვნა მისცა მათ, რომ პარასკევი უქმათ არ გვიწერიაო, ვაი მისი ბრალი! ვინ იცის—როგორი სიტყვებით დაუწყებენ მას ლანძღვას. სხვათა შორის იმასაც გამოურევენ, რომ ამ გვარი აზრები სწავლით შემოიღებინათ არის გავრცელებულიო და სხვ... ერთი სიტყვით, იმის მიგვიჩინა მათ უქადაგოს სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნოების სისაძაგლეზედ და ცდილობდეს ამა ზნეობითი სენის, რბილ და ძველ შუა გამჯდარის, ამოფხვრას, უფრო ხელს უწყობენ იმათ გაზვიადებას. კორესპოდენტები იმედს აძლევდნენ მკითხველებს: ადრე-თუ გვიან გურულები გაიგებენ იმათ სისაძაგლეს, როცა ექნებათ მიმოსვლა სხვა მხარეების პირებთან, იმათზედ უფრო განათლებულთან, მით უფრო, რომ ადრე ხანათ გურიას რკინის გზა შეაზედ გააპობსო. და ბოლოს მართლაც გველირსა ნატერის ასრულება. რკინის გზა გავიდა, ცეცხლის მატარებელი ხშირი სტუმარი შევიწმნა, ბევრი ცვლილებაც მოხდა ჩვენში მას შემდეგ, მხოლოდ დედა-კაცების კუდიანობის, მკითხაობის, პარასკევის უქმაობის და ზოგიერთა სენის რწმუნება დარჩნენ იმავე რიგზედ.

სხვა პროგრესთა შორის, აი ცვლილება: ქალებმა გურიაში, მომეტებულ ნაწილათ დ. ლანჩხუთის მახლობლად სოფლებში, «პადრუჩკით» სეირნობა მას აქეთ შემოიღეს, როცა ხსენებული გზა გაყავდათ; როგორც საზოგადოათ მიღებულია, ბევრი ინჟინერები იყენენ მიჩენილი ამ გზაზედ, მათ რიცხვში, ნამეტანი იმათგანი ლანჩხუთის სოფელში იყენენ დაბინავებული გზის გაყვანამდი. აქედგან ადვილათ შესაძლებელია, — ლანჩხუთის და ჩიბათის სოფლების ქალები ადვილათ შეეჩვეოდნენ, ინჟინერების ცოლების წახედულობით, „პოდრუჩკით“ სეირნობას. მხლად ლანჩხუთის მოედანზედ ყოველ საღამოობით (თუ კარგი დარია) შეხედებით რავდენიმე ქალ და კაცს „პოდრუჩკით“ მოსეირნეს. დილით და საღამოობით ტანციაზედ ჩაუსვლელია ჩვენი, ე. ი. სოფ. ლანჩხუთის ქალებისა, ხომ შეუძლებელია. ორი საათით, ანუ კიდევ უფრო წინ „პოდრუჩკის“ მოსვლას დაასწრებენ ხოლმე. ამ საქმეში ხანდის-ხან არც კაცები ჩამორჩებიან ქალებს, ესენიც რამოდენიმე საათით ანებებენ თავს მუშაობას და „ტანციაზედ“ გარბიან.

შეორეთ—ავათ-მყოფისთვის ჩვენში ექიმი არ არსებობს, რადგანაც ყოველი ავათ-მყოფობა კუდიანი დედა-კაცების ბრალათ ითვლება, რისგამოც, არ ვგონებ, რომ ამდენი ავათ-მყოფი გახდეს სიკვდილის

მსხვერპლი სადმე ამიერ კავკასიაში, რადგან ჩვენ სოფლებში—ლანჩხუთში და ჩიბათშია. გახდება ვინმე ავათ თუ არა—მაშინვე მკითხავებთან მირბიან. მკითხავი, რასაკვირველია, მათ კეთილ გზაზედ არ აყენებს! დიდი ხანია მას აქეთ, რაც ერთი ვილაც მაწანწალა მკითხავი აღმოჩნდა იმერეთში, სოფელ ჭინჭაში, სახელათ დ. და გვართ ვ-მე; მკითხაობასთან რალაცას ვითომ წამლობასაც ჩემულობს: ვის უშილო დედა-კაცების შეილის ყოლას ჰპირდება და ვის რას. იმერეთში კაი ხანია, რაც გაუგეს მას ფლიდობა და თავის მნიშვნელობა დაკარგა. მხლა იქ არა გაუხდა რა, მოატანა გურიას და ორი წელიწადია მას აქეთ, რაც ამავე ფლიდობით ჩვენში უმოწყალოთ ყვლეფს ხალხს. ამას წინეთ ერთმა სოფ. ჩიბათში მცხოვრებმა აზნაურთაგანმა ერთი იმავე სოფლის ქალი ცოლათ შეირთო. მხლა ამ ქალს რალაც ავათ-მყოფობა დაუწყია, დღისით კარგათ არის და ღამ-ღამობით რალაცას ძილში ყვირისო ხანდის-ხან თურმე კიდევ წამოვარდება გაგიჟებული და იძახის: „მიშველეთ! თავზედ დამანწვა“ და სხვ... დღეს ის აზნაური თავის ოჯახობით და ავათ-მყოფით თქმულ ვ-ძეს ჩაუვარდა ხელში და გახდა იმისი მსხვერპლი მატერიალურის მხრით. გაუხდა ცოლი ავათ თუ არა, ეს პირი—სხვებივით ცრუ-მორწმუნე ვ-ძესთან წავიდა და, როგორც ამბობენ, მაშინ ორი თუმნის მეტი არ წაუღიაო. შემდეგში თანდა-თან უმატა. როცა ფული შემოაკლდა, იმან მიჰყო ხელი ძროხის, ცხენის და სხვა შინაური პირუტყვების ყიდვას, და ყველას იმ გამოჩენილ ვ-ძეს ულაგებს. ნეტავი ვიცოდეთ რისთვის? ნუ თუ კაცობრიობამ ამ ნაირ სისაძაგლეს ყურადღება არ მიაქციოს და არ სთელის ვალათ ამ ნაირ უბედურობას ყური ათხოვოს და იმისთანა მაწანწალებს არ მისცეს ნება ასე ტყუილ-უბრალოთ ხალხის ყვლეფისა? ეს კიდევ არაფერი—მისი ქირის სანაცვლო იყოს. ამ ცოტა ხანში ჩვენ შეეიტყვეთ, რომ ვ-ძეს კითხვაში უთქვამს მოხსენებული პირისათვის, რომ ვილაც მას დაახლოებით მეზობელი ჰყავს. იქ ორი ქალი არისო, (მისგან ეს ადვილი სათქმელია, ასეც რომ არ იყოს, ჩვენმა განთქმულმა ვ-ძემ სოფ. ჩიბათში თვითეულ რობე ყორეს ადგილი იცის და მანდილოსნებსაც ინცობდეს, არაფერი გასაკვირია). ამ ორ ქალთაგანი ერთი უფროსი არის და ამ ორ ქალს „გაუთვალავს“ ვითომც მისი ცოლი. ამ ნაირათ, უიმისოთაც ცრუ-მორწმუნეობით სავსე გურული აუღელვებია და ვინ იცის დღეს რას უქადის და რას ჰპირდება ამ პატროსან (ოჯახის) სახლის მანდილოსნებს. პირ-და-პირ მათ არ ეუბნება, მაგრამ სხვებთან რას ამბობს, მას

ცინ ჩამოთვლის. რადგან არ შეუძლია პირ-და-პირ უთხრას იმ ხსენებულ მანდილოსნებს, ვ-ძეს მისთვის ეს ხერხი უსწავლებია: ამ სამ კვირაში რომელიმე დღეს ავთ-მყოფის ქმარმა უნდა მოახდინოს ყრილობა. იმ ყრილობაზედ, შეძლების და გვართ, უნდ დაესწროს სულ ყველა იმა სოფლის მცხოვრები, მათ რიცხვში, რასაკვირველია უნდა ვ-ძეც იყოს. უკანასკნელმა უნდა ამოირჩიოს ავი თვალის დედა-კაცები და შემდეგ ვინ იცის რა უბედური შემთხვევა მოუვთ. დიდათ ვიშიშვით, რომ ჩვენ შიაც არ მოხდეს ისეთი შესაძრწუნებელი ამბავი, როგორც მოხდა სამეგრელოში, სადაც ყირიმის ომის შემდეგ 1858 წ. რადენიმე ბებერი გახდა ცრუ-მორწმუნე მეგრელების მსხვერპლათ.

ს. ჯონშენაძე

შპრცხვენილი ოჯახი

(შემდეგი *)

V

ძარგა ხანი გაატარეს სიჩუმეში; კიდეც მიტრიას ხმამ დაარღვია მყუდროება და მიუბრუნდა მამას, რომელიც სრულებით არხეინათ სცლიდა ღვინით სავსე სტაქნებსა.

— მამა ჩემო, ერთი მითხარი, ბოლო არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ასეთ ცხოვრებასა? და ისე რიგათ დაუწყო ყურება, გეგონებოდათ, ენლა მოელოდა მიტრია თავის აწყყო და მომავალ ბედის უკანასკნელ პასუხსაო.

— რა გეკითხება! მიუგო მამამ არხეინათ და ზედ არც კი შეჰხედა მიტრიას, და არხეინათ განაგრძო ეახშიამი... — ჩემი ქეიფითა და ასე ვიქცევი! ვის რა დავა აქს, ვისა?.. ამაზედ უარესი დღეც რომ დაგაყენოთ, ხმასაც არ უნდა იღებდეთ... ჯანი თქვენც გაგვარდეთ და თქვენ ცხოვრებასაც; აი სახლი და იცხოვრეთ როგორც გინდოდეთ... წამოვარდა საჩქაროთ ნოდარი და გაჯავრებულის სახით გავარდა კარში, რომელიც შემდეგ სრულებით აღარ შემობრუნებულა.

საბრალო ელისაბედი, რომელიც აქამდისინ ცეცხლა პირ-კერას იყო მიყრდნობილი, გულსაკლავის გამომეტყველებით შესცქეროდა ქმრის ლაპარაკსა... რაკი შეიტყო ყოველისფერი, რაკი გაიგო ნათ-

ლათ შედეგი ქმრის უკანასკნელი სიტყვებისა, ენლა კი ველარ შესძლო, დასძლია დედა-კაცურ გულჩვილებამ და ნაკადულსავით გადმოჰსქდნენ შავათ ჩამქრალ თვალებიდან, მწარე ცრემლები. საჩქაროთ მიიფარა პირზედ, თავისი ლურჯი ხელცახოცი, მაგრამ ცხადათ ეტყობოდა, რომ იგი თუმცა ჩუმათ, მაგრამ გულ-ამოსკენითა ტიროდა.

— მეც ეს იმედი მქონდა მამაჩემისაგან. დალა წამოიძახა მიტრიამ და მიწვა იქვე ცეცხლის ახლო დიდიხნია დაგებულ ლოგინზედა, ჩაეძინა რომელსაც მთელი დღის შრომის შემდეგ, მალე ტკბილათა.

VI

ბეგრ სხვა მუშაობასთან, მიტრიამ ურმის კეთებაც ხელოვნურათ იცოდა. იმის მორთულ პატარა-ძალსავით კობტა გაკეთებული ურემი, რომელსაც ყოველთვისინ სუფთათ და ლაზათიანათ ექნებოდა ხოლმე თვლები გამოწკვილი, დიდსა თუ პატარას ძრიელ მოსწონდათ, მიტრიას თვით-მოქმედებითი ხელოვნება. ამითი მიტრიას ხელოვნება ძრიელ გაითქვა; იმას ურმის კეთებაში ცალი არა ჰყვანდა არამც თუ მარტო სოფელ მ-ში, არამედ თვით გარეშემო ახლო-მახლო სოფლებშიაცა და ვისაც კი ან ურემი გაუფუქდებოდა, ან ლაზათიანი კობტა ურმის ქონა მოუწოდებოდა, უსათუოთ მიტრიასთვის უნდა გაეკეთებინებიათ.

მრთ დღეს, ძეთილაშვილმა დაუძახხა მიტრიას, ურმის ძველი უბის გამოსაცვლელოთა... თუმცა შემოდგომა მიიწურებოდა და ზამთრის მოწინავე ღრუბლებმა და ქარმა, უკვე აგრძნობინა ხალხს მომავალი სიციფე, მაგრამ, მიტრიამ მაინც სასიმიინდეს ქვეშ, თხელ თეთრი ჩითის ახალუხით, ლაზათიანათ დაუწყო ჯერ კიდეც სრულებით გაუკოპიტებელ ხეს თლა. მიტრია სრულებითაც ყურს არ უგდებდა, ცივ მოზუზუნე ნიავსა და საკმაოთ მოზრდილ ცულის ლინიერთ სცემდა... იქვე მახლობლათ მოსჯდომოდა გაღეულ ფერსოს თითონ ძეთილაშვილიც და ძალდაუტანებლათ ჰხერტავდა სასოლოვებსა. ამ ცივ დღეს ვერც ძეთილაშვილის სახლობა შეეშინებინა; ისინიც გამოსულიყვნენ სასიმიინდის ქვეშ და მათთან ლიზაც თავისი საკერავით, რალაც ფუსფუსში იყენენ.

სოტა ხნის შემდეგ, პატარა ცელქებმა მალე დანათეს ცეცხლი, დააყარეს ზედ ბლომა ნაფოტი და საამურათ შემოუხსდნენ გარეშემო. ძეთილაშვილის ცოლი, იქვე გვერდით მოუჯდა ქმარს და გაჩქარებული უქსოვდა თავის ექვსი წლის ცელქ აბრიას ჭრელ წინდასა. აქ მხოლოთ ლიზა-ლა იყო დარჩე-

*) იხილე „თეატრი“ № 17.

ნილი, რომელმაც, არ იცოდა სად მოენახა ჩამოსა-
 ჯდომი ადგილი, რომ უფრო მარჯვით, უფრო შე-
 უმჩნევლათ გამძლარიყო მიტრიას გადაღლილ მკერ-
 დის ცქერით და მათი თვალები უფრო მალ-მალ
 შეჭხვედროდნენ ერთი-ერთმანეთსა. ბევრი ტრიალის
 შემდეგ, ლიზაც მივიდა და დედას მოუჯდა გვერ-
 დით, გადიშალა მუხლებზედ თავისი საკერაფი და ნე-
 მსის ხელოვნურის ხმარებით დაუწყო კრვა. გეგო-
 ნებოდათ ამას ელოდა თითონ მიტრიაცაო, ისე მა-
 ლე იბრუნა ზურგი და ახლა მეორე მხრიდგან დაუ-
 წყო უბეს თლა. ლიზა მიტრიას და მიტრია ლი-
 ზას მალე მიუხვდნენ ერთმანეთის საიდუმლო განზ-
 რახვასა. ლიზამ თუმცა გაჩქარებით დაუწყო კრვა,
 მაგრამ მიტრიას მშვენიერ სახეს და დიდრონ შავ-
 თვალებს მაინც არ აშორებდა ლიზა თავის თვალებსა
 და დრო გამოშვებით, საკმაოთ დააცქერდებოდა
 ხოლმე, მიტრიას ცულის ცემასთან, თვით გულის
 მოძრაობასაცა. ლიზა ცხადათა ჰგრძნობდა რა გამო-
 მეტყველებითაც უცემდა ისე აჩქარებით მიტრიას გული,
 ცხადათა ჰგრძნობდა რა ფიქრებით უნდა ყოფილიყო
 იგი მოცული.

— როგორც ეტეობა, ზამთარი ცუდი არ გვე-
 ქნება, გამოელაპარაკა მიტრია ქეთილაშვილსა და
 ცულის ცოტა შიშით დაუწყო ცემა, რომ პასუხი გა-
 ეგონა.

— ჰო! მიუგო ქეთილაშვილმა და ზედაც დაუ-
 როთო: — ის კი არა, სად არის, მიტრი, მამაშენი, ეს
 ორი კვირა მეტი იქნება თვალთ აღარ დამინახავს...
 ჰეი, ი უღმერთომ, რა დანაწეა თავისი ოჯახი,
 თქვენ გამარჯვებასა!.. რამდენჯერმე გაიქნია თავი
 და კვლავ განაგრძო ფერსოს ხერცხა.

მიტრია სრულებითაც არ მოელოდა ქეთი-
 ლაშვილისიგან მამაზედ საუბარსა; ამ მოულოდნელ-
 მა სიბრაღულმა და ქეთილაშვილის ალალ მართლათ
 წარმოთქმულ სიტყვებმა, მიტრიას ცივი ოფლი და-
 ასხვს, აუშალეძ სევდებთან წყლულებიც და ბოლ-
 მით ავისილმა უფრო გაწმაგებით დაუწყო ცულის
 ცემა... ცულის ცემის დროს მალ-მალ გადაჰხვდაედა
 ხოლმე ლიზას და წუთით სევდებ დავიწყებული სულ
 სხვა სანეტარო სიამოვნების გამომეტყველებით აჩერებ-
 და თვალებს იმის თეთრ წითელ სახესა. მათი გრძე-
 ული თვალები მალმალ ჰხვდებოდნენ ერთმანეთსა
 და ამით ცხადათ ჰგრძნობდნენ ერთმანეთის გულის
 ცემას, ერთმანეთის სურვილსა, ერთი სიტყვით, ასე
 და ამ რიგათ ლიზამა და მიტრიამ ცხადათ შეაყო-
 ბინეს ერთმანეთის წადილი...

ამასობაში მზე შეუმჩნევლათ ჩავიდა, საღამომ-
 დისინ უბე არამც თუ გათალეს, მიტრიას დაუ-

ლალაემა ხელებმა მარჯვე ცულის ცემით: გაბუსეს
 კიდევ და მხოლოთ დანდლებისა და კლუბისათვისა
 უნდოდა დახვრეტა. კარგათ იყო შებინდებული, რო-
 დესაც ვახშმის ჰამის შემდეგ «ღამე მშვიდობის»
 თქმით გამოეთხოვა მიტრია ქეთილაშვილის სახლო-
 ბასა. ბინდი საკმაოთ ბნელი იყო და ვიწრო ორლო-
 ბებში ჩაფიქრებული მიტრია, შიშით მოაბიჯებდა.

— «არა, რა უნდა ეთქვა ჩემთვის ქეთილა-
 შვილსა, რა მამა ჩემზედ ჩამომიგლო ლაპარაკი...»
 ფიქრობდა მიტრია და აუარებელი მწარე აზრები
 უტრიალებდნენ თავში, რომელნიც ვერას გზით ვერ
 გამოერკვივნა, პასუხი ვერ მიეცა თავის თავისთვის,
 მაგრამ რაკი, გაუბრუნდა ხოლმე ამასთანავე ელვის
 მსგავსათ სანეტარო ლიზაზედ ფიქრი, რაკი მოაგონდე-
 ბოდა ხოლმე იმისი მოცინარეპირი და მომაჯადოვებ-
 ლი თვალები, ნათლათ ეხატებოდნენ, მაშინ ყოველის-
 ფერი ავიწყდებოდა, ერთის წუთით სრულებით უკუ
 ეყრებოდა სევდა მოცული ბოლმები და ჰფიქრობდა
 მხოლოთ იმას, მარტო იმას რაც მთელ ქვეყანას,
 მთელ თავის სიცოცხლეს ერჩინა და ეს ნეტარი
 ფიქრი კიდევ იყო ლიზა... საჭირო იყო მხოლოთ
 ლიზას წარმოდგენა მიტრიასთვის, რომ იგი კულან-
 დებულათ გამხნეებულყო, კულანდებულათ გამხი-
 რულეებულყო; ერთი სიტყვით, ისეთივე მიტრია
 ყოფილიყო, როგორც აქამომდე და რომელსაც შეჭ-
 ნატროდა მთელი სოფლის ახალგაზდობა.

მაგრამ, ვაჰ, რომ მიტრია ზოგჯერ ის აღარ
 იყო და რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი სევდა,
 მწუხარება, მიტრიაზედ დიდ გავლენას ახდენდა!

VII

მეორე დღეს ჯერ კიდევ კარგათ არ იყო გათე-
 ნებული, რომ მიტრიას ხვედის ცემა გამოისმოდა
 ქეთილაშვილის ეზოდგანა. შითონ ქეთილაშვილიც
 აღრე ამდგარიყო და ისიც იქვე სთლიდა უბისათვის
 ახალ დანდლებსა... ლიზამაც თავის დედით წამოა-
 ლეს კოკებს ხელი და ემზადებოდნენ «დილის» წყლის
 მოსატანათა; ლიზამ თუმცა მალულათ, მაგრამ ერ-
 თი რამდენჯერმე გადმოჰხვდა მიტრიას, რომლის
 თვალბიც, ქეთილაშვილის შეუმჩნევლათ ლიზასაკენ
 იყენენ მიქცეულნი და თვალბის გამომეტყველებით,
 მიესალმნენ ერთი-ერთმანეთსა.

მს დღესც ჩვეულებისამერ გადიოდა; მზე თან-
 დითან დასავლეთისკენ იხრებოდა; მიტრია რალაც
 საიდუმლო სიამოვნებისაგან აღტაცებული, უფრო
 მარდათ, უფრო ხალისიანათ მუშაობდა. ლიზა თა-
 ვის იქ ახლო ტრიალითა და ფუსფუსით, თუმცა კი
 იმდენს არაფერს აკეთებდა, რალაც ძალას უმატებდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიტრიასა. მათი მალ-მალ უჩუმარი ცქერა, ძრიელ აგრძობინებდათ ერთმანეთის სურვილს და თუმცა სიტყვით კი არა, მაგრამ თავიანთის თვალებით ცხადათ ატყობინებდნენ, ერთი მეორის სიყვარულით თანაგრძობასა!.. სამხრობის დროს, სასიმინდის ქვეშ, ლიზა და მიტრია მარტონი დარჩნენ, თუმცა კი თითონაც ვერ მიხვედრილიყვნენ, როგორ მოუხდათ ესა. ამ ცოტა ხნის თავისუფლებით, ძრიელ ისარგებლეს. მხოლოთ ეხლა შეაძლოთ რამდენიმე სიტყვით ეთქვათ ერთმანეთისათვის ის დაფარული გრძობა, რომელსაც ასე ცხადათ ატყობინებდნენ მათი თვალები... ლიზამ თითქო მორცხობით ჩაღუნა თავი და ქვე-ქვე დაუწყო ყურება მიტრიას, რომლისაგანაც მოელოდა გამოლაპარაკებას, რომლის სიტყვებსაც შეაძლოთ იმდენი, იმდენი ნათელის მოფენა, რომ ლიზა სრულებით გაემხნეებინათ, ლიზასთვის მოესხათ ის შემძლე ფრთები, რომელითაც შეყვარებულნი, ყოველთვისინ რაღაც სიამოვნების ჰერში დაჰფრენავენ... ლიზას გრძობამ არ უმტყუნა, არ უმტყუნა რადგანაც ამასვე ჰგრძობდა თითონ მიტრიაცა, ამასვე მოელოდა იგიც განარბული და არიყო რომ ხვედის ცემას უკლო, ცოტა ხანგრძლივით-ღა გამოისმოდა ხმა.

— რა თავი ჩაგიღუნია ლიზამ? როგორც იყო წარმოსთქვა გაბედვით მიტრიამ და მიაჩერა თავისი გამომეტყველი თვალები ლიზას, რომელმაც ამ სიტყვებზედ ის კი იყო აიღო მაღლა თავი და ორივეს თვალები კვალათ ერთმანეთს შეჭხდნენ.

— რომ იცოდე, რამდენი რამის თქმა მინდა შენთვის... კვალათ გამოელაპარაკა მიტრია და გულმა არ იყო რომ ძილზედ დაუწყო ცემა.

— იქნება გაეხდე ამ დღის ღირსი, რომ თავისუფლათ შემოგჩივლებდე ჩემი გულის პასუხსა? მიტრია თითქო ეკამათებოდა სიტყვებით.

— გაჭხდები... დაბლა, მაგრამ ისეთის გრძობით წარმოსთქვა ლიზამ ეს ერთი სიტყვა, რომ თვით სალიკლდეც ყოფილიყო კაცად, ადვილათ მიჭხდებოდა, რა სიამოვნების კილოთი ამოსქდა ლიზას გულიდგან ეს მოკლე სიტყვა.

მიტრიამ სწრაფლ შეაყენა ხვედის ცემა... უფრო სინარულით, უფრო სიამოვნებით დააცქერდა ლიზას მშვენიერ სახეს, რომელიც ეხლა სრულებით არ ერიდებოდა და აღის ფერ ტუჩებზედ გამკრთალი ღიმილი, უფრო ერთი ათათ აჯადოვებდნენ საბრალო ქაბუკის სინარულისაგან აღტაცებულ გულსა.

— მერე როდის?

— თუნდ ამაღამ! მიუგო ლიზამ და წამოიწია ასადგომათა.

— მაშ..


— ნახვამდისინ! გააწყვეტინა სიტყვა და გამოსწია სახლის კარებისაკენ, თითონაც მიტრიაზედ არა ნაკლებ აღტაცებულმა.

მიტრია, მარტო დარჩა, მაგრამ ლიზას გულს კი თავისთანა ჰგრძობდა. წამოაგლო ხვედს ხელი და უფრო გრძობით, უფრო გამხნეებულმა დაუწყო სატენს ცემა. მიტრია ცხადათა ჰგრძობდა, რომ იმის ისეთაც ძალას, ეხლა სულ სხვა ახალი ძალა მიემატა; თითონ მიტრია აღარ იყო ის ჩაფიქრებული მიტრია... ეხლა სულ სხვა გვართა ჰგრძობდა თავის თავს; იმას ათას ბედნიერების სინარულმა გაურბინა თავშია, რომელნიც აქამდისინ მხოლოთ ოცნებათ ებადებოდნენ და ოცნებათავე ჰქრებოდნენ. არა! მიტრია ეხლა დარწმუნებული იყო რასაცა ფიქრობდა და ეს ფიქრი კიდეც მხოლოთ ლიზა იყო.

სალამომაც მალე მოატანა, ჩვეულებისამებრ დერეფან ქვეშ ვახშმის ჰამის შემდეგ, მიტრია მალე გამოემშვიდობა და ბედნიერების სინარულისაგან აღტაცებულმა, მალე გამოსწია შინისაკენა.

ველის-ცისხელი.

(შემდეგი იქნება)



სახალხო ლექსები

არა მწამს თავის დღეშია
ფიცილი დაიცისაო,
არც მოქმის მოღალატისა,
არც მოწმენდილი ცისაო.

კაცი ამ ქვეყნით დეკნული,
ვეკლგან იშოვის ბინასა;
უჯობს არას ფერს გაუტყდეს,
გული უგვანდეს რგინასა.

ამ ცრუვსა წუთსა-საფელში
ბეკრი ამბები ყოფილას,
ვეკლასა თვითთა სეკლას ჰქლავს,
ვინც ამ ქვეყანად შობილას.

იმ ხვენ ლამაზსა ნინოსა
თვალთაგან ცრემლი სცვივოდას—

შეატყვე ბიჭი უნდოდა,
იმისთვის გული სტკიოდა.

გოგომ რა ვაშლი მესროდა
მატკინა გულის ფიცარი;
თუნდ მომკლან სასკელს არ ვიტყვი,
დმერთმა უშველას ვინც არი.

ქალებო, თქვენი ჭირიმეთ!
ნეტავ ვინა გვაკეთ ჰატრონი?!
ამაღამ ჩვენთან წამოდით,
მესრეები ვართ მატკინი.

ქალმა რამ ვაჟა ააქსო,
ჩამოვდა წელის-შირ, ქვასკდა—
საყვარელს დაჭმირებოდა,
იქ მოვიცილა წყალსკდა.

სიცოცხლე ქაფსკდ შუბია
ბატკინის ერთგულს უმასაო;
მათ შუა მტრება ვარდება—
ფიცსკვას წასკვნიან თავსაო.

გამოცანა

- წადი, არ ნახო, უთხარ მოვიდეს.
- წაველ, ვერ ვნახე; მითხრა „მოკალა.“
- რათ არ მოვიდა? ალბათ მოვიდა,
რამ არ მოვიდა.
- რამ არ მოსულიყო?
- რამ არ მოსულიყო, სომ მოვიდოდა.

წინა გამოცანების ახსნა *)

1) ფეიქარი. 2). ციცინათელა.

*) იხილეთ „თეატრი“ № 18.

შეზღილი სიყვარულისაგან *
ქართული
ლიტერატურის

დრამა ნ მოქმედ. თხზ. დონ-მანუელ ტამაისი და ბაუსისა

აქტი IV

ღარბაზი სასახლეში. სცენის სიღრმეში სამეფო
ტახტი.

სცენა I

მეფე (ზის), დონ ხუან მანუელი, მერე მარლიანო

მეფე. აღასრულეთ ჩემი ბძანება?
დონ ხუან მანუელი. დედოფლის ოთახის ყველა
კარბებებში ღარაჯებია ჩაყენებული.

მეფე. აღღარამ რალა გიპასუხათ?
დონ ხუან მანუელი. მინამ არ გაეა დედოფალი
აქედგან, მინამდის მე ჩემს ოთახიდგან არ შემიძლიან
გამოვიდო.

მეფე. რა ცუღათა ვგრძნობ ჩემს თავს! რა შე-
მაწრწუნებელი ტკივილი მაქვს თავში! აღღარას ვი-
ნაობის გამოაშკარაება დედოფლისაგან, მოუსვენ-
რობა, რომელსაც იმ დროიდგან ვგრძნობ—აი მი-
ზეზები ჩემი ცუღი ყოფისა. შარყოფობა და სიტყვის
შებრუნება მოხელეებისაგან—ესენი უფრო მიშფოთე-
ბენ სულს! და უარესად ეს თათბირი—რომელიც
მთელი ღამე გაგრძელდა. .. რა ხანგრძლივი წამებაა.
ჩვენი იმედები მინც რომ არ გატრუედენ!

დონ ხუან მანუელი. ამისი ნუ გეშინიანთ: დე-
დოფლის დატყვევების შემდეგ სუყველა გრანდი თქვენ
დიდებულეებას აღვიარებს ამ სახემწიფოების ერთად-
ერთ ბრძანებლად.

მეფე. მე თქვენგან ძალიან დავალბებული ვარ,
დონ ხუან მანუელი! თქვენსა და პაჩენკოს დაჯილ-
დოვებას მე ვერასოდეს ვერ შევიძლებ.

დონ ხუან მანუელი. თქვენთან სამსახური ჩემს
მოვალეობად გამინდია.

მეფე. მე დავსჯი დამნაშავეებს. აღმირალმა და-
მაკარგინა მე ღმობიერება გულისა (მარლიანოს,
რომელიც მარცხნივ შემოდის) რას ამბობს დონა
ხუანა?

მარლიანო. წასვლის უარზეა.

მეფე. მე ღარწმუნებული ვიყავი რომ ყოველივე
თქვენი ცლა ამაო იქნებოდა.

მარლიანო. მეფე, თქვენ რალა გადაწყვეტილებას
დაადექით?

*) იხილეთ „თეატრი“ № 17.

მეფე. ღაყავეებით იქნება, თუ ძალით იგი უნდა წავიდეს.

მარლიანო. მე არა ერთხელ გამომითქვამს ჩემი აზრი... ნება მიბოძეთ იგივე აზრი საჯაროთაც ვთქვა.

მეფე. მარლიანო!

ღონ ხუან მანუელი. უფლება და ცდა დედოფლის დღეგრძელობისათვის თქვენ საეკლე კაცათა გხდინა: ამას ყველა მიჰხედებოდა, ისე რომ გიცნობდენ, როგორც მეფესა აქვს თქვენი ცნობა.

მარლიანო. ხმა ტანჯვისა ქვეყანას ერთ ოჯახად მიხდის, ორი მიზეზისა გამო ექიმებს ამოდენა სამშობლო გვაქვს და სუყველა გაჭირებული — ჩვენი თანამემამულეა.

მეფე. მარლიანო, გირჩევ წინ-დახედულობა იქონიო. (ღონ ხუან მანუელს) წადით და მოუწოდეთ თქვენს მეგობრებს. (თავისთვის) ბოლოს როგორც იქნება მოვაშორებ დედოფალს. (მეფე მარჯვნივ მიდის, ღონ ხუან მანუელი მისაღებ კარებში).

სცენა II

მარლიანო, მერე ღონ ალვარი, ცოტა ხნის შემდეგ აღმირალი.

მარლიანო. მინამდის სული მიდგას მე ჩემს პატიოსნებას არ უღალატებ.

ღონ ალვარი. (შემოდის კარებში, რომელიც სცენის სიღრმეშია მარცხნივ) მაახერხე დედოფლის ნახვა?

აღმირალი. (შემოდის მარჯვნივ კარებში, რომელიც სცენის სიღრმეშია) რას იტყვი, მარლიანო?

მარლიანო. მეფეს უთხარი: ვეცდები მეთქი რომ დედოფალი თავის ნებით გავიდეს აქედგან, და ამ ღონის ძიებით ავიღე ნება რთვა დედოფლის ნახვისა. დედოფალმა იცის მეფის განძრახვა და იგი მთლად დაუძღვრებული, თვალ-ცრემლიანი თვითონვე ითხოვს წასვლას.

აღმირალი. წასვლას?

ღონ ალვარი. თქვენ რაღა უთხარით?

მარლიანო. მე მას მოვაგონე მოვალეობანი დედოფლისა, გადავშალე მის თვალწინ სუყველა გაჭირებანი — რასაც მისი ვასალები გრძნობენ ფლამალდიელების ხელში, მოვაგონე ყოველი შეთქმულობანი ღონ ხუან მანუელისა, მარკიზი დე-ვილიენისა და ბატონი დე-ვერესი დედოფლის საწინააღმდეგოთ და მეფის სასარგებლოთ. მე მოვაგონე სახელი მისი დედისა და იჭენულობაც კი გამოვიწვიე. ნელ-ნელა

აენთენ მისი თვალეები, აღელდა იგი და გლახსყუტა ბურგუსში დაურჩებო.

აღმირალი. დაპირებაზე მომეტებული გაგიკეთებიათ.

ღონ ალვარი. ხალხი, აღმირალო?

აღმირალი. ჩვენი დახელოენებული მყეირალების მეცადინეობით კაცი არ არის ბურგოსში, რომ შეტყობილი არა ჰქონდეს მეფის ურცხვი განძრახვანი. შევლგან მუშობა შესწყდა, ყყელანი ჩურჩულობენ, ქუჩებში და მეიდნებში იკრიფებიან და ერთი გრძნობით აღზნებულნი ყვირიან: „სიკვდილი ფლამალდიელებს და გამარჯვება დედოფალს. პი ხმა, რომელიც ყველას გულის ფიცარზე დაუწერიათ და რომელიც საქმესთან დაუახლოვებიათ.

ღონ ალვარი. მადლობა ღმერთს!

მარლიანო. ჩვენ ერთგულობაში იგი დაჯერებულია.

აღმირალი. სასახლის დარაჯა?

ღონ ალვარი. ისპანიის სალდათები თაყენსა სცემენ დედოფალს. ფლამალდიელები კი თქვენგან მოცემული ოქროთი მოვისყიდე.

აღმირალი. ზეცაა ჩვენი საქმის მფარველი.

მარლიანო. როდესაც ბორატებსა შეთქმულობა მიუძღვის, იქნება კეთილს იგივე საშუალებამ გამარჯვებინოს.

აღმირალი. მქვი არ არის — რომ პატიოსნება დედოფალი დაიხსნა ურცხობისაგან და ხალხისა მტანჯველებისაგან!... ჩვენი დიდება ყოველ შემთხვევაში მალლა იდგება იმათ დიდებაზე, მაშინაც კი, თუ ესენი დაგვამარცხებენ. გეფიცებით ღმერთს, ბატონებო, რომ ეხლა კი მოვაგონოთ ავსტრიის ერც-გერცოგს თუ იგი ვის მიწაზე ნავარდობს და გაუხსნოთ მოკავშირეთაც — თუ იგი რომელ ქვეყანაშია დაბადებული.

სცენა III.

იგინიე, მარკიზ დე-ვილენა, ღონ ხუან მანუელი, ვერე, დარბაისელნი (იკრიფებიან ორივე მხრიდგან).

ვერე. ღონ ფილიპე იქნება დიდებული სახე მეფეთა შორის.

ღონ ხუან მანუელი. შეიძლება ვთქვათ, რომ ფილიპე ეხლა იწყებს მეფობას; აქამდისინ კი დედოფალი ელობებოდა მის გასაკვირველ პლანებს.

მარკიზი. უსამართლობა იქნებოდა — იგი რომ აქ დავტოვოთ.

დონ სუან მანუკელი. მამარჯვება, აღმირალო.

მარკიზი. მწყინს თქვენი ბრმა ჯიუტობა! თქვენ მეფე ძალიან განრისხეთ.

დონ სუან მანუკელი. რა კეთილ განცხადებული მიზეზი იქნება, რომ ორჯელ უარ გაყოფინოთ ის ოქროს, რუნო რომელიც მეფისაგან არის ნაბოძები.

ადმირალი. დაუმსახურებელი წყალობა—საჩუქარია, და არა ჯილდო. მე როდი მინდა რომ დაინახოს ვინმემ ეს ორდენი და სთქვას: „ო, ეს არის ჯილდო მისი დამსახურებისა, ეს საფასია მისი უპატიოებისა; ამას ეს არ დაუმსახურებია, არამედ გაუყიდნია თავი თვისი მისი გულისთვის.“

მარკიზი. მგონი თქვენ განძრახვა გაქვთ ჩვენ შეურაცხობა მოგვაყენო.

გეგე. შესაძლო იქნება, რომ მეფემ თქვენი ნახვა არ მოინდომოს.

მარკიზი. დანებეთ თავი. მე მიხვედრილი ვარ ეს რისთვისაც ეხმარება გამოსულელებულ დედოფალს. აღმირალი მისი ნათესავია როგორც სისხლით, ისე ჭკუითაც.

ადმირალი. ღიბ, მართალია, მე მომხრე ვარ დედოფლისა, თქვენ კი თქვენი ბატონის მომხრეები ბრძანდებით.—ამას ხომ ეგ ნიშნებიც ამტკიცებენ, რომელთაც თქვენ ყელზე ატარებთ.

დონ სუან მანუკელი. აღმირალო.

მარკიზი. შეფიცებით სიცოცხლეს.

დონ ალვარი. ბატონებო, მეფე!

სცენა IV

იგინივე, მეფე (მანტიით), კაპიტანი სასახლის დარაჯისა, დარბაისელნი, პრელატები, ექიმები, პაყები და სალდათები (რომელნიც დალიჯის ორივე მხარეზე დგანან.).

მეფე. ბატონებო, თქვენ მგონი შეტყობილი გექნებათ მიზეზი ჩვენი აქ თავ მოყრისა. დონა ხუნას შემლილება მეტის მეტია. სრულიად ჩაქრა ნათელი გონებისა; საჭიროა ექიმების გადაწყვეტილებას დავეთანხმოთ, რომ უარესი არ დაგვეშართოს. ამის მეტი აღარა დაგვჩინია რა: უნდა განმარტოვდეს დედოფალი და ბეჯითი ყურისგდება ჰქონდეს. მზათა ხართ რომ აღვიართ დონა ხუნას ჭკუაზე შემლილება? ხომ არ უარყოფთ ჩემს გამეფებას და ხომ მომეხმარებით—თუ ვინიცობაა მტერმა წინააღმდეგობა გამიწია?

დონ სუან მანუკელი. ჩვენ ყველანი დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენ დიდებულებას საზოგადოების საზოგადო სიკეთე სურს—ყველანი, არა ბატონებო?

ადმირალი. ყველანი.

ადმირალი. ყველანი არა! ზოგნი ამასაც ამტკიცებენ, რომ დედოფალს ღრვებით ტყინ შერყეულობა სჭირს და ეს ავთამყოფობა სხელის უძლურობისიგან კი არ წარმოსდგება, არამედ სულის ნაღვლიანობისაგანაო.

მეფე. ზუშინ ეგ არავის უთქვამს.

ადმირალი. ზუშინ დონა ხუნას ზოგიერთა მოქმედებანი მის ჭკუაზედ შემლილობას მოწმობდნენ. დღეს კი შეტყობილი მაქვს ნამდვილი მიზეზი მისი საქცაელისა. იმედია თქვენი დიდებულება ამ მიზეზის გამოქლანებას არ მოინდომებს.

მეფე. მე თქვენი ვერა გამიგია რა, აღმირალო. მინ ეთანხმება აღმირალს ამ გვარ აზრს?

დონ ალვარი. მე, ბატონო ჩემო.

მეფე. (თავისთვის) დონ ალვარი; იგი ვალუდვა ჩემს ბძანებას. ექვიანობს და ამისთვის მოქმედობს ჩემს წინააღმდეგ.

ადმირალი. მოიგონეთ, თქვენო დიდებულებავ, რომ ვალიადელადის კორტესები აღარ ეთანხმებიან თქვენ გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც დედოფლის დატყვევება გწადიანთ, ნუ დაგავიწყდებათ—რომ დედოფლის დასახმარებლად ანდალუზაში შერტებულან გრაფები დე-ურენია და დე-კაბრა, მარკიზი დე-პრიეგო და გერცოგი დე-მედინა-სიდონია, გაიხსენეთ რომ ხალხი, რომელიც გარს გარტყია, მამაცი და პატიოსანი ხალხია.

მეფე. მშუქრები მეფეს?

დონ სუან მანუკელი. მს დამნაშაობაა.

ზოგიერთნი. ღიბ, ღიბ!

ადმირალი. სრულიადაც არ მაშინებს თქვენი ხმაურობა.

მარკიზი. შეფიცებით ღმერთის სახეს, რომ დონა ხუნა სრულ ჭკუაზეა.

მეფე. მოალატენი! ესენი მეფე დონ ვერდინადს მიჰკედლებიან.

ადმირალი. დედოფალი დონა-ხუნას ჭკუაზე შემლილობა მართალიც რომ იყვეს, მისი დედის იხაბელას ანდერძის ძალით, დალიჯი ეკუთვნის მარტო მარტო ერთს მეფე ვერდინადს და სხვა არავის.

მეფე. ბაიგონეთ, ბატონებო? ტყუილად კი არ გიწოდებთ დასახმარებლად.

მარკიზი. ღაისაკუთრეთ, მეფეო, დალიჯი-იგი თქვენია... და ჩვენც დიდის დიდებით ვაღვიარებთ ამას. შემოქმედრამთ, რომ თქვენდამი ერთგულობა არ ამოიფხვრება ჩვენის გულდგან. ეს გვირგვინი თქვენი, დაიდგით თავზე (მეფე იხურავს გვირგვინს და ხელში სვიპეტრა იღებს).

ღონ სუნ მანუელი. თქვენია დალიჯი და დაიკირეთ იგი.

აღმირალი. (მივარდება მეფესთან) ჯერ მოითმინეთ, მეფეო!

მეფე. მომზორდი, მოღალატე!

მარკიზი. მეფეს რომ ეწინააღმდეგება! (ჩოჩქოლი)

ღონ ალგარი. (თავისთვის) საზიზღარნო!

მეფე. გზა მეფეს!

ნ—თ მესა

(შემდეგი იქნება)

განსხაღებანი

ს ტ ა მ ბ ა

მელიქიშვილისა.

თფილისში—სასახლის ქუჩ., არწრუნისეულ ქარვასლანში, ქართული თეატრის ჩემო სათოულში.

იღებს უოკელ გვარს სასტამბო საქმეებს საბეჭდავთ: გაზეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთვე უოკელ-გვარ ბღანკებს, კვტანციებს, სხოტებს, განცხადებებს, აფიშებს, შირობებს და სსვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა შირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა ვისრულობს კორექტურის გასწორებას და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომტრენი იხურეკებს.

თამარ ცხიერბინი

ისტორიული დრამატიული პოემა აბაქისა,

ისყიდება მორაჯის ბიბლიოთეკაში, გოლგოთისის პრესპექტზე, მუსრან-ბატონის სასლში და გრაქურაჯის წიგნის მღაზიაში. ფასა ათი შაური.

(10—5)


სურათები

ჩვენა პოეტებისა და მწერლებისა

სასაი წარმოული

ილია ჭავჭავაძე

გ. ოკბელიანი



მელიქიშვილი

გიორგი ერისთავი

სამხეთქი

ჩიხეულ ალექსანდროვის ქაღალდზედ მსატრობა ა. ბერძინის

ისყიდება გრაქურაჯის წიგნის მაღაზიაში, ქუციის ხიდის ყურზე, ზუბალოვის სახლებში და ი. საფარაჯის ბაკალიინი მაღაზიაში, ბრწურუნისეულ ქარვასლანში.

გინც ათს ან მეტს სურათს გამოაწერს, მან თითო სურათი 16 კაპ. დაეთიობა.